№ 39

28 სექტემბერი

ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

ლიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ექვსგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

ფლის ფასი 3 მან. ფლის დალევამდი 2 მან.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. თუმანიშვილი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის თან. აღმ.

სთხოვს გუბერნიის თავ.-აზნ. მობრძანდენ

ქართული თეატრი

წარმოდგენა № 2.

სეზონის 19⁰⁰/₁₀ დასაწყისი.

ხუთშაბათს 1 ოქტომბერს ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ა. ჩირგაძისა სადგეზიუტოთ და ბ. შ. შარაშიძის მოწაფეობით

მედეა

დრამა 5 მოქ. სუვორინისა თარ. დ. მესხისა.

შედეას როლს შეასრულებს ქ-ნი ა. ჩირგაძე იასონის როლს შ. შარაშიძე

ანდგენენ ქ-ნნი:—მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ქალაჯიშვილი მ. ჩირგაძე. ბ-ნნი ი. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. ვეგარაძე. ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, შ. საფაროვი, მატარაძე, შარაშიძე და სხვ.

ადგილების ფასი: დოჯები 10 მ. 50—კ. 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50—კ. 60 კ.-მდე; კალერეია 40 კ.—20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.

მზადება წარმოსადგენათ „უდანაშაულოთ დასჯილნი“, „ექიმი აშირმაჯიანი“.

მორიგი რეჟისორი კ. მეხი — რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამატიული საზოგადოების ადმინისტრაცია.

კახეთიმეღვინეთა ამხანაგობა

საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკალებულ ფასებში ეძლევათ

მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშვილის ქარვასლაში

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

ფორტოპიანოს ამწყობი

ბ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიზეანის ქუჩა № 11.

მიიღება შესაკეთებლად ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით

იყიდება როიალიდან და პიანინოდან მტვერის გამოსაბერავი. ფასი 3 მანეთი.

კაფე პარიზ!!

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაფოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი

სასმელი წყლები

ლუდი, სადილი

ფასები ხელმისაწვდომია

სისუფთავე და კარგი სამსახური

დაბა ლანჩხუთში გაიხსნა

ფოტოგრაფია „გურია“

ა. მიქელაშვილი.

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

კბილის სნეულებანი, ხელოვნური კბილები. იკითხეთ ყოველდღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათ. მიხეილის პრეკ. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხეზე № 3). შესაყალი სემიონოვის ქუჩიდან. 0—1

Завоцкъ марка

Кавказскій натуральный Коньякъ Д.З. Сарадженъ О.С. (Очень Старый.) Тифлисъ № 25

აღსრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

ახალი ამბები და დეპეშები

✦ პარასკევს 25 ენკენისთვეს, მოხდება სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ტფილისის ტრამვაის გამგეობისაგან შემოღებულ წესებზე მოჯამაგირეთაგან წარმოდგენილ საჩივრებზე.

✦ სპარსეთის ძველი მთავრობა ზილლი-სულტანეს ყოველ-წლიურ პენსიად 12,000 სპარსულ თუმანს აძლევდა. ახალ მთავრობასაც გადაუწყვეტია ეს პენსია აძლიოს ზილლი-სულთანს. ამ უკანასკნელმა მთავრობის გადაწყვეტილება რომ გაიგო გამოაცხადა, პენსიას საქველ-მოქმედო მიზნებისთვის ვწირავო.

✦ 16 ენკენისთვეს დილის 10½ საათზე ერევნის მოედანზე გურგენოვის სახლში საჯოთიკო საზოგადოების მაღაზიაში შეამჩნიეს რკინის ყუთის მოპარვა, რომელშიაც 969 მანეთი ყოფილა. ყუთი შკაფში იყო ვინტებით დამაგრებული. როგორც ეტყობა შინაური კაცის მოპარული უნდა იყოს.

✦ შაბათს, 26 ენკენისთვეს, აკუთრეხეს ტფილისში ქალთა უმაღლესი კურსები გრიბოედოვის ქ., ქობულაშვილების სახლში.

✦ გუშინ დილით ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ გადაიხადა პანაშვიდი ამ საზოგადოების ახლად გარდაცვალებულ დამფუძნებლის იოსებ ალექსანდრეს ძის სულხანშვილის სულის მოსახსენებლად.

✦ სახელმწიფო საბჭოს წევრებს ასარჩევად აირჩევენები ტფილისის გუბერნიისა ა. გ. ბაგრატიონ-დავიდოვი და მ. ვ. მაჩაბელი გუშინ პეტერბურგში წავიდენ.

✦ გუშინ, 27 ენკენისთვეს, დასაფლავეს ტფილისის ქალაქის თავად ნამაყოფი ბ. მატინოვი. დასაფლავებას ხალხი ბლომათ დაესწრო. მრავალი სიტყვა იყო წარმოთქმული.

✦ 15 ოქტომბერს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში მოხდება წლიური კრება ტფილისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებისა. კრებები საღამოობით იქნება. ამბობენ ამ კრებაზე უნდა განიხილონ სხვათა შორის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფასში უნდა გაიყიდოს ამ საზოგადოების კუთვნილი სახლი, ტფილისში განვის და ეელიამინოვის ქუჩებზე.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 23 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახლში ი. ივანიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იყო: „პატარა კახი“ საერთოდ პიესამ გვარიანად ჩაიარა. კარგი იყო მასსიური სცენები, სცენის მოწყობილობა, და სხვა წვრილმანი. ამ საღამოს ნაილად ეტყობოდა რეჟისორის ხელი, კარგები იყვნენ ივანიძე, მარგველაშვილი, მეტრეველი, გოგაშვილი, მანჯავიძე, მელიქიშვილი და ჭანკვატაძე. უფერული იყო მუშათა ხორო, სუსტი იყო ავრეთვე ფეიქრიშვილი და ხაშმელი. სტატისტკები ულაგო ალაგს ირიკეპეზოდნენ, რაიც ელფერს უკარგავდენ წარმოდგენას... წესიერი ვერ იყო ლამაზი. ჩემ წინ ერთი გაპალარავებული ვიღაცა ისე ხვრინავდა და ხრიალებდა, რომ ყურთა სმენა ჭქონდა წაღებული, ამბობენ „ეშმაკის“ რეცენზენტი იყოო... ღმერთმა ხელი მოუმართოს... ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ შაბათს, 26 სექტემბერს პოლონელთა სახლში საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენილი იყო: „დათვი“ და „ტომოთეს ლეღვი“ დასასრულ გაიმართა ცეკვა. ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ პეტერბურგში პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნში მოწაწილეობას იღებდა 66098 პირი, მეორე სათათბიროს არჩევნში 68,207 პირი, მესამესაში 44,928, მესამე სათათბიროს დამატებითი არჩევნებში 3,407. ახლა კი მხოლოდ 24,504 პირი მივიდა საარჩევნო ყუთთან.

✦ ამას წინეთ გაზეთში ცნობა იყო, რომ წ. კ. საზოგადოებას რამდენიმე წიგნით მოვაპრეკ წინადადებით მიმართა და სთხოვა წიგნით მოვაპრეთა კრება მოეწვიათ. ამ კრების მოწვევის შესახებ ჯერ-ჯერობით არასფელი ისმის.

✦ **ბაქო.** ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ დაიწყო განხილვა საქმისა, რომლითაც ბაქოს პოლიციას ბრალდება უმოქმედობა სომეხ-თათართა შეტაკების დროს 1905 წელს. მოწმე 170-ზე მეტია გამოწვეული.

✦ **პეტერბურგი.** ხოლერით ავად-გახდა 31, მოკვდა 9, ავად არის 355.

✦ **საიგონი.** საფრანგეთის ჯარმა გაიარა ზღვის მცარეველი დეტაში, რომელიც თავის 350 მომხრეებთან ერთად გამაგრებული იყო. ავიზაკებში მოკლეს 8, ფრანგების მხრივ მოკლეს 18, დაჭრეს 35 კაცი.

✦ **პეტერბურგი.** მემარჯვენენი ელდა ნაცემივით არიან დუბროვინის გაპარვის გამო. ამას არავინ არ მოელოდა. ზოგიერთები აცხადებენ, ნამდვილი მკვლელი ყოფილა, თორემ არ გაიპარებოდაო.

✦ გამოვიდა ახალი ქართული აღმანახი „ჩვენი ერი“.

თბილისი, 28 სექტემბერი.

მუდამ ერთისა და იმისავე თქმა მოსაბეზრებელია; მოსაბეზრებელია ავრეთვე ერთისა და იმისავე გაგონება და წაკითხვა.

მაგრამ ეს ძველის გამეორება და გახსენება აუცილებელი ხდება იქ, სადაც ახალი აზრი ძველს ეჯახება და ებრძვის და თან და თან ფეხს იკიდებს საზოგადოებაში. ამ ბრძოლაში ხშირა-ხშირად ხდება საჭირო ახალი აზრის, ახალი საბუთების, ახალი ფაქტების გახსენება, რომ ხალხის გონება შეეჩვიოს მას, ხალხში ახალმა მიმართულებამ გამარჯვებისთვის საჭირო ძალები რომ მოიპოვოს.

ამიტომ ჩვენც არ ვეშინდებით ისევ იმის თქმას, რაც უკვე გვითქვამს,— ამით გზას ვუკაფავთ ახალ მიმართულებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩვენში ფეხმოკიდებული და რომელსაც აუცილებლად უნდა დაადგეს ქართველი ერი და დაადგება კიდეც, როდესაც თვალს იხელს და თავის ახლანდელ დუხჭირ მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს გაიგებს.

ეს არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება, ეროვნული, რადგანაც მან ქართველ ერის ყველა წარმომადგენელი, ქართველ ერის ყოველი შვილი უნდა შეაკავშიროს, რათა მათ საერთოდ გაუწონონ ბრძოლა იმ ძალებს, რომლებიც ქართველი ერის გაკრობას ლამობენ. როგორც ომის დროს ჯარში თანასწორად მიდის ლარიბი და მდიდარი, მეარჯვენენ და მემარცხენენ, ახალგაზდა და ხნიანი იმისთვის, რომ საერთოდ ებრძოლოს საშშობლოში შემოსეულ მტრის ჯარებს, ისე ეროვნულ ბრძოლაში თანასწორი მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, განურჩევლად სქესისა, ხნისა, ქონებისა და პოლიტიკურ მიმართულებისა.

ეს მისწრაფება ხელჩართულ ბრძოლას არ მოითხოვს, იგი მშვიდობიან მოქმედების კალაპოტში დგას, კიდევ უფრო, იგი კანონიერ მოქმედების საზღვრებს არ ცილდება.

ეროვნული საკითხი უმეტეს ნაწილად ენის საკითხია. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ერს უფლება აქვს და უნდა ცხოვრება მოიწყოს ისე, რომ თავის დედა-ენაზე ისწავლოს სასწავლებელში, უმაღლესი სწავლაც თავის დედა-ენაზე მიიღოს, ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში თავის დედა-ენაზე მოახერხოს ლაპარაკი და თხოვნის წარდგენა. ამის მიღწევა ღღეს-ღღეობით სრულიად თუ არ შეიძლება, ნახევრად მაინც მეტად ადვილი არის. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებაში ეროვნულ გრძნობის გაძლიერება. საჭიროა ხალხის ყოველი ნაწილი, საზოგადოების ყოველი წევრი ღარიბი და მდიდარი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მემარჯვენე და მემარცხენეც თანასწორად გამსჭვალული იყოს ერთი სურვილით— ეროვნულ იდეალებით.

მანამდის კი ეროვნულ მოთხოვნათა წამოყენება მეტი და უნაყოფოა. როგორ უნდა მოვითხოვოთ ჩვენ მთავრობისაგან სასწავლებლებში ქართული ენის შემოღება და გაბატონება, როდესაც ჩვენ თვითონ, ჩვენს კერძო ცხოვრებაში ქართულ ენას არ ვაბატონებთ? და რაკი ქართული მიგდებულ-დავიწყებული გვაქვს ამიტომ ქართული მწერლობაც სუსტია, ხალხის ფართო მასსებიც მოკლებული არიან ქართულ წიგნებს და კულტურულად ჩამორჩენის გზას აღგებენ.

და ვინც ხალხის კულტურულ ზრდას ეტრფის, უნდა ეცადოს, ამ ზრდისთვის საჭირო ეროვნული გრძნობა გაძლიერდეს ხალხში.

რა გზით, რა საშვალებით, ამაზე შემდეგ.

კ. თუმანიშვილი

შემთხვევითი წერილები*)

II

სწავლა დაიწყო და, როგორც ოსტატები, ისე დიდი და პატარა შეგირდები დაფუსფუსებენ წიგნის მატაზიაში და ეძებენ საჭირო სახელმძღვანელოებს.

ოსტატები ერთმანეთს უზიარებენ აზრს ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოების შესახებ, არჩევენ რომელი სჯობიაო და თავისი საგნის დაყენების გასაუმჯობესებლად შრომასა და ფიქრს არ გაურბიან.

პატარები უკვირდებიან უცნობ სურათებს, საკვირველ ფორმულებს, გაუგებარ სათაურებს და სიამოვნებით ელიან საღუმლოების ახსნას, ახალი წიგნის შესწავლას.

წვრილის, მსხვილის, მწყრალის, მორიდებულის, ნაძალადევ დარდიმანდულის და შეჩერებულ-დარცხვენილის ხმით გაკვითლებული მასწავლებელი, სისხლ-ხორცით სავსე გიმნაზიელი და მეოცნებე გიმნაზიელი ქალები მოითხოვენ ალგებრას, გეომეტრიას, გერმანულს, ფრანგულს, ხანდახან სომხურსაც კი, მაგრამ ვერ გაიგონებთ, რომ ვინმემ ქართული ენის სახელმძღვანელო მოითხოვოს. რეკლიუციის დროს მიგდებულ-მიტოვებული ლათინურის სახელმძღვანელოებმა ისევ გამოყვენ თამამად თავი, მხოლოდ ქართულს, ქართულს არაფერი ეშველა, არც რევოლუციის ხანაში და არც ეხლა.

მაგრამ გავა ორი თვე და რაც საკვირველ-მოქმედებით, როცა თქვენი ლიზიკა, თამარიკო, მიშა და ლადო მოიტანენ ნიშნებს უსათუოდ იქნება ნიშანი ქართულ ენაშიაც და თითქმის უსათუოდ შეგვიძლია ვთქვათ კარგი, საკმაო ცოდნის ნიშანი.

რომ კითხოთ ბავშს რა ისწავლა, რას სწავლობენ ეხლა ქართულში, ხეირიანად

(*) იხ. „ივერია“ № 38.

ვერც — გეტყვისთ პასუხს, ხოლო ძლიერ დაწერილებითაც კი მოგიყვებათ, თუ როგორ აწვალებენ “ბატონს“. ასე უძახიან თითქმის ყველ მთავრობის სასწავლებელში ქართველს მასწავლებელს. ეს „ბატონი“ ჩვეულებრივ გადაყრუებული მოხუცია, უსაზღვროთ გულკეთილი და აგრეთვე უსაზღვროთ ზარმაცი. უსაზღვროთ გულკეთილი-მეთქი რომ მოგახსენეთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე მართლაც გულკეთილად ეწარცდე მას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ეგრე უძახიან ცხოვრებაში ასეთს ადამიანებს.

საერთოდ ქართული ენის მდგომარეობა არსად არ არის სასურველად დაყენებული; არსად არ ისწავლება ქართული ენა ისე, როგორც ამას მოითხოვს ყოველი ერი თავის დედა-ენისთვის. ფრანგმა მოწაფემ ბევრთა უკეთ იცის ფრანგული, გერმანელმა მოწაფემ გერმანული, რუსის შვილიერმა რუსული, ეიდრე ქართველმა მოწაფემ ქართული, ეს იმით ხიხსნება, რომ სწავლის ენათ ქართული მხოლოდ უმდაბლეს სასწავლებელშია და მეორეც ქართული ენის დაბეჩავებას ცხოვრება ძლიერ აშკარად ამყოვნებს, ისე რომ როგორც მასწავლებელი, ისე მოწაფეც საკმაო ყურადღებას და გულმოდგინებას არ უძღვნიან ქართულის შესწავლას. სხვაგან გარდა ეროვნული გრძნობისა ენის შესწავლის სურვილს ბევრად უფრო აძლიერებს საჭიროება—ჩვენში კი ასეთი საჭიროება ძლიერ და ძლიერ პრობლემატიური საკითხია უმეცარლობისთვის. რაც უნდა გულმავარი ოსტატი იყოს და გულმხურვალე შეგირდი, მაინც მათი ენერგია სუსტდება შავის ფიქრით, რომ უქართულოდაც შეიძლება ცხოვრების გზის გაკაფვა, კეთილ მოქალაქედ გახდომაო.

რამდენად მართალია ასეთი მსჯელობა ბერჯელ გაურჩევია; ჩვენც ოდესმე დაუბრუნდებთ საკითხს, თუ როგორ ქვეითდება ადამიანის ბუნება, როცა მშობლიურ ენაზე ვერ ახერხებს სწავლა-განათლებას. აქ გვინდა მხოლოდ ორიოდე მოსაზრება გაუზიარონ საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება უკეთესად მოწყობა ქართული ენის სწავლებისა მთავრობის სასწავლებლებში დღევანდელ პირობათა მიხედვით.

თითქმის ყოველ მთავრობის სასწავლებელში რამდენიმე გაკვეთილი აქვს დათმობილი ქართულს. ზოგიერთ სასწავლებელს ქართულის ენისთვის განსაკუთრებული სუბსიდია ეხლეკი (მაგ. ქუთაისის თავად-აზნაურობა ეხმარება წმინდა ნინოს სახელობაზე დაარსებულს გიმნაზიას). საუბედუროთ გაკვეთილების ამ მცირე რიცხვსაც ვერ ვიყენებთ. მართალია, თვით მთავრობა არ უწყობს ხელს, რომ საგანი კარგათ იქმნეს დაყენებული, მაგრამ ბევრში მასწავლებლები და საზოგადოება არიან დამნაშავე. როგორც წინათაც ვთქვით სასწავლებლების უმრავლესობაში დამუდებულან ისეთი ოსტატები ქართული ენის, რომ დიდ გულკეთილობად მიიჩნიათ შეგირდს ხუთებით აუსოს „დღიური“ და მთელი გაკვეთილი ზღაპრების მბობაში და სოფჯახო მასლაათში გაატარონ, მაშინ როდესაც თუ არ ენის, ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლა—ამ საგანთა შეუყვარება მაინც შეიძლებოდა.

რადგან მთავრობა ამ საქმეს არ კიდებს ხელს, რადგან ზოგიერთისთვის ხელსაყრელიც კი არის ასეთი მდგომარეობა, ჩვენ შეგვიძლია, თუ მეტს ფუჭს გამოვიჩენთ, ქართული ენის სწავლება უფრო კარგათ (არა სასურველად, არამედ უფრო კარგათ) მივაწყოთ.

ამისათვის საჭიროა საუკეთესო ქართველმა ინტელიგენტებმა არ იუყადრისონ და ეცადონ როგორმე აიღონ ქართულის გაკვეთილები სასწავლებლებში. ეს ერთი. მეორეც შეიძლება სასწავლებელთან **არა საველდებულო** გაკვეთილები ქართული ენის დაარსდეს. ვინც გულით მოეკიდება ამ საქმეს, კიდეც მოახერხებს: თუ ინგლისურის და ესპერანტოს შესასწავლათ არსდება ჯგუჯები, თუ ნებას აძლევენ მთავრობის სასწავლებლები **არა საკალდებულო** გაკვეთილებისას ყოველ მასწავლებელს, ვერც ქართული ენის ოსტატებს ეტყვიან უარს ამაზე, თუნდაც გული არა სასიამოვნოდ ეჩვენოსთ. ასე ხებრად არ მოიქცევიან უბრალო მიზეზების გამო: არაფის არ სურს აშკარად თავის თავი უსინდისოთ დასახოს. ამ საქმისთვის ინტელლიგენციის შეკრება ქ. შ. წერა-სითხ. გამავრცელებელ საზოგადოების საქმეა. მე რომ რაიმე გავლენა მქონდეს, თვით აკაკისაც კი მიემართავდი თხოვნით ათასგვარ დაუფასებელ სამშობლოსათვის შრომას ერთი მისთვის არა ჩვეულებრივი ღვაწლი დაუმატოს: პირადის მაგალითით აჩვენოს ჩვენს საზოგადოებას და მთავრობის სასწავლებლებში ქართულის მასწავლებლათ, შვეიდს და დაანახოს ყველას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წელიწადში ორმოციოდე გაკვეთილსაც კი. ერთი მისი კათედრაზე დანახვა საუკუნოთ შეაყვარებს შეგირდებს ქართულს გაკვეთილებს და როგორც ტრადიცია მოდგმიდან მოდგმაზე გადავა სურვილი ქართულის შესწავლისა ასეთ ცუდ მდგომარეობაშიაც კი.

ჩვენი ინტელლიგენტციაც დარწმუნდება, რომ ქართულის გაკვეთილები თავროზის სასწავლებელში ყურადღების ღირსი არის, რომ რამდენმე გაკვეთილის დროს ისეთის გრძნობების გაღვიძება, ისეთი ცოდნის გადაცემა შეიძლება, რომელსაც თვით საუკუნე ვეღარ აღმოფხვრის.

ეს იქნება ერთი საუკეთესო პოემა მოხუცი მგოსნის! აქ აკაკი, რა თქმა უნდა ჰიპერბოლური მაგალითად არის მოყვანილი. ყოველი მოშზადებული და გულწრფელად მომუშავე მასწავლებელი მიიზიდავს შეგირდებს. წარმოუდგენელია, რომ ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკის პოეზიას, ყაზიბეგის პროზამ არ მოხიბლოს მოწაფეები და, თუ ეხლა გაურბიან გაკვეთილებს, ეს ნათლად ამეტყველებს მასწავლებლების სრულს უვიცობას.

ამას უნდა მიეღოს ბოლო.

ნ. ლორთქიფანიძე.

ჩემი დღიური

—

არა სასიამოვნო ამბავი მოხდა,—ჟურნალი „ერი“ დაკეტეს... ჯერ კიდევ ვერ გასცნობოდა ამ ჟურნალს როგორც რიგია მკითხველი საზოგადოება, რადგანაც რედაქციამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი ნომრის გამოცემა მოასწრო,—და უკვე დაკეტვის ამბავი ეცნობა ყველას...

რატომ! რა მოხდა ისეთი? რა დასწერა ჟურნალმა? რა ბრალი ედება მას?

„ერი“ სარეფორმეციო ჟურნალი არ იყო. „ერი“ სოციალიზმისათვის ბრძოლას არ მოითხოვდა. „ერი“ გაფიცვას და იარაღით ბრძოლას არ ქადაგებდა...

„ერი“ ეროვნულ მიმართულებას ადგა და ქართველების ეროვნულ დაჩაგრას იხსენებდა.

ჩვენ არ გვინდა დავიჯერდთ, რომ ამ ეროვნულ მიმართულების გულისთვის დაკეტეს ჟურნალი. არ გვინდა დავიჯეროთ, თუმცა სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ, და თუმცა ამ მიზეზით ჟურნალის დაკეტვა მხოლოდ ერთხელ კიდევ ზედმეტად ასაბუთებს იმის სამართლეს, რასაც არა ერთხელ ვამბობდით, რომ მთავრობას ეროვნულ მიმართულებაზე მდგომი ქართველი უფრო საშიშრად მიაჩნია და იგი მას უფრო ებრძვის, ვიდრე უკიდურეს სოციალისტებს...

ამაზედ უნდა დაგვეთანხმოს თვით „მომავალი“-ც...

—

გარ. „მომავალი“ ყოველთვის პასუხს ღირსად ხდიდა ხოლმე ყოველ ჩვენ წერილს, რომელიც ასე თუ ისე ეხებოდა ჩვენში მომქმედ პოლიციკურ პარტიებს და მათს შეცდომებს აღნიშნავდა.

მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია ამიტომ, რომ ჩვენი უკანასკნელი წერილი ამავე საკითხის შესახებ მან უპასუხოთ დატოვა.

ახლა, რასაკვირველია, იტყვიან ამ გაზეთის მეთაურები, რა პასუხის ღირსი იყო ეს „სისულელეო“, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ წერილში სხვათა შორის გამოთქმული იყო ერთი საბუთი, რომელიც წინეთ არ. მოგვიხსენებია და რომელიც თავისებურათ ხსნის ეროვნულ გრძნობის უქონლობას ზოგიერთ ქართველ პარტიის კაცებში.

ეს საბუთია — ხალხის უკულტურობა.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მხოლოდ შედარებით უფრო განათლებულ ადამიანს შეუძლია ოგრძნოს ეროვნული დაჩაგვრა, რადგანაც ეს დაჩაგვრა ადამიანს უსპობს იმ უფლებას, რომელიც გაუნათლებელს არც კი სჭირია. მაგ. რად უნდა ქართულ ენაზე უნივერსიტეტი იმას, ვისაც სოფლის სასწავლებელიც არ გაუთავებია.

ეროვნული გრძნობა განათლებულ და განვითარებულ,—შეგნებულ ადამიანს ხვედრია და ჩვენში თუ ეს გრძნობა სუსტობს, ჩვენი უკულტურობის ბრალია.

საზღვარ-გარეთ, ყველგან, სადაც ეხლა ეროვნული ბრძოლაა გაჩაღებული, ეს ბრძოლა ყოველთვის როდი ყოფილა,—ხალხმა ყველგან მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეიგნო ეროვნულ-დაჩაგვრის სიმწვავე, რადგანაც ზშრად მეცხრამეტე საუკუნეში სწავლა-განათლება ხალხის ფართო მასებსაც მოედო.

ამიტომ მთლად გაუნათლებელ, განვითარებელ, შეუგნებელ ადამიანს შეუძლია სთქვას,—ეროვნულ მიმართულებას ვერ დავადგებიო, რადგანაც იგი მხოლოდ ბურჟუა-კაპიტალისტების ან თავად-აზნაურების საქმე არისო.

საუბედუროთ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ასეთი განათლებულები, განვითარებელი და შეუგნებელი ადამიანი.

როდის დადგება ის სანეტარო დრო, როდესაც ხალხის დიდი უმეტესობა განათლდება იმდენად, რომ გაიგებს ეროვნულ შევიწროვების სიღუხჭირეს და მტრად დასახავს ყველას, ვინც ამ სიდუხჭირეს უმალავს მას და ამ სიდუხჭირისთან ბრძოლას ეარ ურჩევს.

—

„მომავალი“ ნადვილ „ძმაბიჭურ“ გადგულოსგინი ეკამათება „დროებას“, საბუთებს კი არ ურღვევს, თანამშრომელთა ვინაობას ეხება და ეხება როგორ!? „ყოფილთა“, გაზეთს ეძახის ამ გაზეთს!!! ყოფილი ინკაქიტი, ყოფილი ს.-დემოკრატი, ყოფილი სხვა კიდევ პარტიის წევრი—ყველა აქ არის! თავმოყრილიო... მერმე რა სირცხვილია, ადამიანი ყოფილიყოს წინეთ ს.-დემოკრატი ან ანარქისტი და შემდეგ ცხოვრების მოთხოვნათა მიხედვით დაინახოს, რომ ეს თეორიები ჩვენს ეროვნულ მდგომარეობას არ უხდება და სხვა რომელიმე გზას დადგეს ხალხის საკეთილდღეოთ? აზრის გამოცვლა სირცხვილია? მაშ „მომავალის“ მწერლები ალბად დედის საშოში თუ ამზადებდნენ თავიანთ ახლანდელ „ძმაბიჭურ“ წერილებს?...

სირცხვილი! სირცხვილი ქართულ პრესას, რომელიც ამნარ „ძმაბიჭობითი“ იკვებება და სირცხვილი იმ გაზეთს, რომელიც ამნაირ „ძმაბიჭობითი“ აბრმავებს თავიანთ მკითხველებს.

მეთვალყურე

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

(ლექსი პროზათ)

ქვებით ჰქოლავენ, ჯვარიზედ აკრავენ, სპასყორობლეში მწარედ სტანჯავენ, ძალლებს ასევენ, კოცონზედ სწვავენ, მაგრამ ვერაფრით ვერ აშინებენ. უნამუსობა, უგუნურობა ყველან, ყოველთვის მას გზას ულობავს, მაგრამ მიმალულ ჟუმუტანაში როგორც ჰაერი ისე მიგოგავს. ტყვეობის მტანჯველ წყვდიადისაგან, შეუდრეკელი და მხნე გამოდის, კოცონის ნაკარ და ფერფლისაგან უვნებელი და მთელი გამორბის. მოურიდებლათ და გაბედულათ დაჟანგულ ჯაჭვებს გმირულად ამსხვრევს, ჩაგრულ მონების დამხსნელი არის, ლაჩარი, მძინარეს ამხნევ-ალვიძებს. მართალი კაცს უყვარს და მტყუანს კი სძულს, მუდამ გაუბრის, არ უნდა სტუმრად: მჩაგვრელს არ ზოგავს, მფარველობს ჩაგრულს და მიტომ ისიც ხვდება ერთგულათ.

ლადო ბზვანელი

რუსეთი

—

პოლონელებს პოლონეთში რუსული ენის, გეოგრაფიის და ისტორიის მასწავლებლობა აეკრძალათ.

—

გერცენშტეინის მოკვლის საქმე თანდათან რთულდება. ფინლანდიის სასამართლომ მას დაუკავშირა გრაფ ვიტტეს მოკვლის განზრახვის საქმეც. ამ უკანასკნელ საქმეში მონაწილეობა ბრალდება იმავე ექ. დუბროვინს და ბერს ილიოდორს, რომელიც თავის გაზეთში საჯაროთ მოითხოვდა ვიტტეს ჩამოხრჩობას ან მოკვლას.

—

„რუსთა კაშირში“ რაღაც საიდუმლო მიწერ-მოწერაა გამართული. რას ეხება ეს მიწერ-მოწერა, ჯერ არავინ იცის.

—

დაშნაქცუტუნი.

მკითხველებმა იცით, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სოხმების გაჩხრეკა-დაპატიმრებას მოჰყვება სასამართლოში საქმის გარჩევა. ამ საქმეში ბრალდებულად 100 კაცზე მეტი იქნება.

პასუხის გებაში მიცემულია სოხმების პოლიტიკური პარტია „დაშნაკცუტიუნი“ ის პარტია, რომელიც სოხმების ეროვნულ აღორძინებას თავში უდგა და რომელსაც მთელი სოხმება ხელში ეკრა.

პასუხისგებაში მიცემულია მრავალი შეძლებული სოხეი. დაჭერილია რამდენ-

---

ᲕᲐᲟᲘᲡ.

—

ერთ დროში მტერი ფიქრობდა
გურჯისტანს სული ხდებაო,
სამაჯის კარზედ მიხმეულს
ლდეები უმოკლდებაო.

—

ამბობდა: „რა გადაარჩენს
სიყრმიდგან ბრძოლით დაღალულს,
„შარი დედი-ნაცვლიდან
დამონავებულ-დამალულს.

—

წარსულითან ამპარტავანსა
აწ-მყოზედ უმადურსაო,
რა დაუკარგავს, რას ეძებს?
ვინ მოუშველებს წყლულსაო“?

—

ასე ამბობდა და თანაც
დაცინვით გადმოჰყურებდა
და როგორც პირუტყვს ულელქვეშ
ქედ-მოხრილი იმსახურებდა.

—

იმისდა დასამცირებლად
არ იზოგავდა ძალ-ღონეს,
გარს ცეცხლი მეკიდებოდა
ამის მნახველს და გამგონეს.

—

სულს მიხუთავდა ეს ყოფა
გული სიღრმემდის მტკივოდა,
„ურის ძიების სურვილი
თვალთ ცრემლად ჩამომდიოდა!

—

ყვავილოვანი სიყრმის გზა
გავლილ, ისე ვიარე,
რომ ბოლმა მკვდარი გულისა
ვერავის გაუზიარე.

—

მაგრამ როს ენახე საერთო
ღელსაწყალი დიადი,
ცისკარს რომ ამოეშუქნა
მიმოფანტა წყვდიადი,

—

მოხუცს რომ შემოხვეოდნენ
გარშემო გურჯთა შვილები,
ვით ჯვარცმულს ჩვენთვის წამებულს
მისგანვე გამოხრდილები,

—

აი მას შემდეგ გავკაჟდი,
გაკლდეოდა სული, და გული
გადახალისდა იმედით
იმ დრომდი დამწყვარ-დაგული.

—

იქვე გაშენდა სამოთხე
იშლება ეარდი მაისის!
ბობოქრობს გრძნობა მომლოდე
უფრო სხვაგვარი გაისის...

—

როს მაგონდება მე იმ დღის
ნახული განაგონია.
თავი რაღაცა მძლეთა-მძლე
ზვიადი გმირი მგონია.

—

თუ არ მატყუებს ოცნება,
არ ვსცდები, დიდო მგოსანო!
გამოორკეცეე იმედი
სიმთ-ყდერით ტკბილ-ჩანგოსანო!

რუს-იმერელი.

ᲘᲠᲛᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲚᲘ,

ზღაპარი,

(ახალ შემოღებულის შეირბეობი მოთხრობილი).

იყო „ეარა“!
სად მოახდარა,
სულ არა-რა რომ რამ იყოს?
ან ზღაპრები,
ტყუელები
თან სიზმრები ამხდარიყოს?
მაგრამ ერთსა
შევსთხოვ ღმერთსა,
ჩვენსა მხსნელსა, მათქმევინოს,
თუნდ ხუმრობა,
მასხარობა,
აგებ ვინმეს გაეცინოს.

—

ავდექ, გამოველ ცისკრის დროს,
მინდოდა მონადირება,
მიმოვიარე ქალები,
სითაც მაძლევდა გუნება.
შეეხვედი ირემსა ნუკრებით
უცხოსა სამალახოსა,
ვეპარებოდი სიფრთხილით,—
არ მიმიკარა ახლოსა.
წინ ჩავსრიალდი და თოფი
შიგ დაუნიშნე გვერდებში.
ის საწყლად შემომჩერდა
შიშვნეულებით თვალებში.
მითხრა, ღვთისკაცო! ნუ მომკლავ,
ერთი რამ მათქმევინეო,
კარგს რამეებსა გიამბობ,
შენც კარგად მომისმინეო.
თოფი დაუშვი შეკრთომით,
ყური დაუდე ირემსა,
კაცურმა მისმა სიტყვებმა
მე უფრო გამაკვირვესა.
ასე დაიწყო მოთხრობა
ახირებული თავისი.
არვინ იფიქროთ ჩემგნითა
მომატება რამ ამისი.

I

ადრე დილით,
მე ლოგინით,
ტკბილის ძილით წამოვვარდი,
წავედ ტყეში,
ბარად მთებში,
ღრიანკლებში, ზედ მივვარდი
ერთსა დათვსა,
სწორედ ავსა
სანახავსა, შეუშინდი
თეთრ-ყვითელსა,
თვალ-წითელსა,
ვიდ კუნდღელსა, მთლად გავკვირდი.
იღრიალა,
„ბალა, ბალა“.
სად დამთვრალა ეს უმსგავსო?!
აგებ დატკბეს,
დამიწყნარდეს,
მოდი ერთი მეც შევასვი.
გადაშუშა
ოცი შუშა,
როგორც მუშა სულ წყურვალი.
რაღაც სიტყვებს
გაუგებლებს
ბურდღულობდა ის დამთვრალი.
მოჰყვა ტირილს,
ქვითინს-ყივილს,
კოცნა-ბღოშნას და მოყვრობა
განმიცხადა,
თან მიქადა
ჭეშმარიტი მეგობრობა.
მითხრა: მტერებს,
შენსა მკვლელებს,
სისხლის მსმელებს მოგაშორებ.
მოგასვენებ,
დაგაშვენებ,
ბედით მეფეთ გაგასწორებ.
მრავალ ასთა
ძლიერ დათვთა
მცველად თავზე დაგაყენებ.
საჩუქრებსა,
ოქროებსა
იმდენს მოგცემ, გაგაშტერებ.
მხოლოდ ესა
მსურის დღესა,
შენსა მტერსა უყურებდე
დაჩაგრულსა,
გულ-წასულსა,
შენ კი ჩენად გიგულებდე.

II

პასუხი მივეც: რაღა სჯობს
სიტყვებსა თქვენსა მჭევრებსა,
თქვენი უთვლელი ჯარები
ზარს სცემენ ჩემსა მტერებსა.
მე უზრუნველად მივდგე
ჩემის სახლისა აღდგენას,
ნუკრების მოშენებასა,
წესიერების დადგენსა...
თუ სულსა მოგვათქმევინებ,
ჩვენცა გვაქვს ღონე, ძალები,
ჯანი სულისა უქანცი
და დაუღლელი მკლავები.
გვეტაცვი, წამს მზათა ვიქნებით
ყოველთვის მოსახმარებლად,
მებრძოლ-მეტოქეთა გამტეხად
და ტახტის გასაშგრებლად.
დრო იყო, ვერვინ გვეტყოდა,
დადექ, მოვდივარ შენზედა!
მათ თვითონ ჩვენ შეუტევდით,
ჯაჭვს დავაფრენდით მხრებზედა.
მაგრამ ახლა სხვა ჟამია,
შენ ერთი გვყავხარ დამხსნელი,—
ჯერ ღვთის წინ მადლათ გეყოფა,
მერმეა დიდი სახელი.

III

მმან მითხრა: ნეტავ, რად მინდა
მოხმარება და ჯარიო!
უანგარიგო ხალხი მყავს
ბრიყვი და მიუმხთარიო,
რასაც უბრძანებ, მაშინვე
სრულ ყოფენ უეკველათო,
თვით ცეცხლში ჩასცვივდებიან
უჩივლად, უკვნესელათო.
ცოდნა-სწავლასა ისინი

ნიმე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მაგ. პოეტი ალპარონიანი. გამომძიებელი ნოეოჩერკასკში ცხოვრობს და დაპერილებს ჩვენების ჩამოსართმევად იქეთ გზავნიან.

რა მოჰყვება ამ გამოძიებას, შესძლებს თუ არა გამომძიებელი გახსნას ის ხლართი, რომელიც შეკრულია „დაშნაკცუტიუნის“ მოკმედების გარშემო, თუ მისი ცდა უშედეგო დარჩება? არ ვიცით. ის კი ცხადია, რომ სომხობას ეს გამოძიება მეტად აღელვებს, ყველა აცხადებს, ამ პარტიაში არაფითარი მონაწილე არა ვარ, მხოლოდ ხანდახან ძალაუნებურად ფული გადამიხდია მის სასარგებლოთო.

—

ქადაგი.

ფინლანდიაში, კუპიოსთან ცხოვრობს ვიღაც ქალი კარულინა, რომელსაც ხალხი წმინდანად სთვლის და რომლის სანახავად ინტელიგენტებიც მიდიან.

ეს ქალი ჰიპნოტიურად ჩაძინებული ძილში ქადაგობს.

კარულინა დილის 4 საათზე დგება, 5 საათამდის თავს კარგად გრძნობს, დადის, ლაპარაკობს. ხუთი რომ დადგება, რაღაც უხილავი და უცნაური ძალა მას ლოგინისკენ იზიდავს, აწვენს და აძინებს...

ჩაძინებული კარულინა თითს პირში ისვეიღებს და შემდეგ ამ თითს ისე ამოძრავებს თითქო წიგნს ფურცლავდესო; შემდეგ რაღაც უცნაური, სხვისი ხმით ლაპარაკს იწყებს.

ქალი ძილში დალაგებულ ქადაგებას ამბობს, არჩევს სახარების რომელიმე ნაწილს, საღვთო წერილს უხსნის ხალხს. ვისაც გაუგონია მისი ქადაგება, ყველა აღტაცებულია გაგონილით.

მძინარე ქალთან ექიმებიც მისულან იმის შესამოწმებლად, მართლა სძინავს მას თუ არა: ქინძისთავით სჩხვლეტდენ მას, დანით სჭრიდენ, მაგრამ კარულინას ჭრილობა არც კი უგრძნია,—ლაპარაკი და ქადაგება არ შეუწყვეტია.

ქადაგობს იგი ხოლმე 2 საათს. ხალი სულ განაბული უსმენს მას, ექეს ხუთმეტი წუთი რომ აკლია, კარულინა იღვიძებს. სახეზე ოფლი ჩამოდის, თვითონაც ოფლში იწურება. ნალაპარაკევი არ ახსოვს ხოლმე.

კარულინა ამნაირად ერთ წელიწადს ქადაგებდა, ამ წლის მაისამდის. მაისში მან ერთხელ ძილის დროს განაცხადა, მთელი წიგნი უკვე გადავიკითხეთ და თავისი ქადაგებაც მოსპო.

უქადაგებლად კარულინამ გაატარა თიქმის სამი თვე. კარულინა დანიშნულ საათს ისევ იძინებდა, მაგრამ ჩაძინებული უხმოთ იწვა, მხოლოდ ხანდახან ვიღაც უხილავს ეგბასებოდა.

ახლა მან ხელ ახლად დაიწყო თავისი ქადაგება, ხალხი მიაწყდა მას. მეცნიერები იკვლევენ ამ საკვირველებას, ხალხი ამბობს ღვთის სასწაული არისო.

—

ლუგანსკში თვე მოიწამლა მორფით ადგილობრივ საფარშლო სასწავლებლის მოწაფე ქალმა ს. ფეიფეცმა. საცოდავს როგორც ეტყობა ძალიან შესძაგებია სიცოცხლე. ჯერ ერთხელ მოიწამლა თავი, მაგრამ დროზე შეუტყვეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ორი საათის შემდეგ ფეხის ადგილში გავიდა და იქ თავი ჩამოიხრჩო, მაგრამ აქაც შეამჩნიეს და სიცოცხლე დაბრუნეს. ორი დღის შემდეგ რომ გამოკეთდა, მორფი დალია. აქაც შეუტყვეს და საავთმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გვიანღა იყო—ორიოდე საათის შემდეგ გარდაიცვალა. თავის მოკვლის მიზეზი გაუგებარი დარჩა.

—

ილიოდორი.

ილიოდორს ვინ არ იცნობს რუსეთში. ეს ბერი უკიდურესი მემარჯვენეა, თითქმის პუროშკევიჩ-შარკოვზედ უფრო მემარჯვენე. მას სძულს, ეჯავრება ყველა არა რუსი, იგი ბერია, მაგრამ რისთვის არა სასიამოვნო პირების დახვრეტას და ჩამოხრჩობას ისე აღვილად მოითხოვს, თითქო ბერი და ქრისტიანე კი არა, კაციჭამია ყოფილიყო.

ეს ილიოდორი ცარიცინში ცხოვრობს და აქ ხშირ-ხშირად ქადაგებს ხოლმე. ეს ქადაგება არა სასიამოვნოდ ურჩება ადგილობრივ პოლიციას, რადგანაც ილიოდორი თავის ქადაგებაში აგინებს არა რუს ერების წარმომადგენლებთან ერთად მდიდრებსაც და ეს მისი ქადაგება თეორიული რიდია, იგი ებრძვის მდიდრებს პრაქტიკულადაც, მოიწვევს მუშებს სიტყვა საქმედ აქციონ და მყლეფფულ მდიდრებისგან თავის განსათავისუფლებლად შეკავშირდნენ და შეერთდნენ.

პოლიციამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და ილიოდორის ქადაგების შესახებ აცნობა სასამართლოს.

მართლაც როგორ არ შეშინდებოდა, როდესაც ილიოდორის ქადაგების გავლენით უკვე მოხდა ერთი გაფიცვა, ორიათას კმეზე მეტმა ხელი **ა-ღო** მუშაობაზე.

—

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის უფროსმა „გლუბოკაიას“ სადგურის უფროსს დეპეშა მისწერა,—„ახლა ბევრი საქმეა, ავათ გახდომა აკრძალულია“.

—

ეკრჩზე პოლიციელები გაჩხრიკეს, მათ იარაღის გაყიდვა ბრალდებათ.

—

რუსეთის ერთ სოფელში ორმა ახალგაზრდა შუშამ ერთმანეთთან ლაპარაკში შეიტყო, რომ ვიღაც ქალი, რომელსაც ორივე ეტრფიალებოდა, ორივესავე სიყვარულით უპასუხებდა. ჯერ ერთმანეთს არ დაუჯერეს, შემდეგ გადაწყვიტეს სიმართლე ერთმანეთისთვის დაემტკიცებინა. ამისთვის ჯერ ერთმა წაიყვანა ქალი მიყრუებულ ადგილას და იქ ეხვეოდა და ჭკუნდდა მას ისე, რომ მეორე ჩუმად უყურებდა ამას, შემდეგ მეორემ წაიყვანა ტყეში ქალი და იქ პირველის თვალის წინ ეალერსებოდა და ჭკუნდა მას. ქალის ამნაირ ქცევაში რომ დარწმუნდა ორიეე, მივარდენ ქალს, პირი ცხვირსახოცით დაუცვეს, შემდეგ გაატიტვლეს ქალი და დაბაეს ხეზე იქ სადაც ჯიანჯველების ბუდე იყო. ჯიანჯველები დაეცვენ გატიტვლებულ ქალს, რომელიც საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, რადგანაც პირში ჩაჩრილი ჰქონდი ცხვირსახოცი.

ცოტა ხანს უყურეს ქალის ტანჯვას იმ ახალგაზრდებმა, შემდეგ გაანთავისუფლეს ქალი, რომელიც გამწარებული წულასაკენ გაქანდა და იქ ტანი დაიბანა და ამნაირად გაინთავისუფლა თავი ჯიანჯველებისაგან. ამბობენ სხვებმა ურრიეს ქალს სარეცანი შეიტანე წვალებისათვის, მაგრამ მას რცხვენია და ვერ ბედავს ამ სარეცანსო.

საზღვარ-გარეთ

სატუსაღოში გაფიცვა.

რუსეთის ციხეებში ტუსაღები ხშირად იფიცებიან და საპმელზე ხელს იღებენ, რომ ამით ციხის ადმინისტრაცია შეაშინონ და ზოგიერთი რამე დაათმობინონ. ციხის ადმინისტრაციაც მარჯლა უთმობს ხშირად ასეთ გაფიცვებზე ტუსაღებს, რადგანაც უნდა ამ დათმობით ტუსაღები საკვდილს გადაარჩინოს.

ამას წინეთ ინგლისის ციხეში გაფიცვა მოახდინეს სუფრაფისტკებმა, ე. ი. იმ ქალებმა, რომლებიც მამაკაცებთან ქალების გათანასწორებას მოითხოვენ. ეს სუფრაფისტკები სკანდალის მოხდენისათვის მთავრობამ ციხეში ჩასვა. გარეთ მოსკანდალე სუფრაფისტკებმა ციხეშიაც სკანდალი განიზრახეს და საპმელზე უარი განაცხადეს. ამ უარმა ინგლისის ციხის უფროსი არ შეაშინა, —რაკი ნებით არ გინდათ ჯამა, ძალად გაპმეთ და ყველას მართლაც ხელოვნურად მიიღებინეს საპმელი—ოყნები გაუკეთეს. ამ საშუალებით ისინი სიკვდილს და სნეულებას გადაარჩინეს. საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა ამ ოყნების შესახებ, პარლამენტშიაც მის გამო შეკითხვასაც ამზადებენ, საზოგადოების მეტი ნაწილი აქებს ციხის ადმინისტრაციის ამ განკარგულებას.

—

ანდერძი.

ამერიკაში გარდაიცვალა ერთი მდიდარი კაცი, გარრისონი, რომელსაც 160 მილიონ მანეთის ქონება დარჩა. ამ მდიდარს ანდერძიც დაუტოვებია, ეს ანდერძი სულ 94 სიტყვისაგან შესდგება.

ამ 94 სიტყვით გარრისონმა მთელი თავისი აუარებელი სიმდიდრე ცოლს უანდერძა.

დაბა-სოფელში

ს. ქვიტირი (ქუთ. მაზრა). როგორც სხვა სოფლის მცხოვრებლებმა, აგრეთვე ქვიტირელებმაც წასულ წლებში დიდი შიმშილობა გადაიტანეს, მაგრამ მცხოვრებლებს უფრო მომეტებული შიმშილობა წელს მოლის, რადგან მოსავალი ერთობ ცუდია. მთელს ქვიტირის საზოგადოებაში შეიძლება მოიშველოს ორი ან სამი კომლი, რომელსაც წლის სარჩო მოუვა, უმეტეს ნაწილს კი სამი თვის სარჩოც არ მოუვა. სხვა სოფლებთან შედარებით, ქვიტირის საზოგადოებაში არას დროს არ ყოფილა რიგიანი მოსავალი, ამის მიზეზი ისაა, რომ ქვიტირელებს არ აქვთ სარწყავი წყლები. დიდი ხანია მას შემდეგ რაც მდ. რიონიდან მცხოვრებლებმა განიზრახეს ტოტის გამოყვანა. მაგრამ ზოგიერთი გაიძვერების წყალობით ეს საქე არ მიეცა დასასრულს. წელს იელ ინის პირველ რიცხვებში, როგორც იქნა ხალხლა დადგინა წერილობითი განჩინება წყლის არხის საპროგზაზე და საქმის სისრულეში მოსაყვანად ხალხმა აირჩია ოთხი კაცი. ასე მოხთა ფარცხანაყანევში და მაღლაკში, რადგან ისინიც სარწყავი წყლების უქონლობის გამო დასჯილნი არიან. ამ სამი სოფლის არჩეულ პირებს, შეერთებულათ უნდა ემოქმედათ და საქმე ხალხის საკეთილდღეოთ მოეწყოთ, მაგრამ მათ დღემდის ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ერთად შეიკრიბონ, მოილაპარაკონ და ერთ აზრს დაადგენ; თუმცა ისინი ორ თვეზე მეტია რაც საზოგადოებამ აირჩია და დიადი საქმე დაავალა. მათი მოქმედება, კაცს კრილოვის ერთ არაკს მოაგონებს („Лебедь, Ракъ и Щука“), რადგან ერთი მხარე ასახელებს: ტოტი მდინარეის ადგილიდან წამოვიყვანოთო, მეორე—ასათიანის ადგილებზეა დაყინებული და მესამე მხარე კი, წარმოიდგინეთ ფერმიდან უპირეს სოფლების ხარჯით წყლის ტოტის წამოყვანას. (ოცნებაც ასეთი უნდა). იმას არც ერთი მხარე არ უკვირდება საიდან უფრო იაფათ დაუჯდება მცხოვრებლებს წყლის ტოტის გამოყვანა და ან, რომელ სათავიდან წამოყვანილი წყალი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს მცხოვრებლებს. ნუ თუ საზოგადოებამ ასეთი ეინ ლაობა დაავალა მათ არჩეულპირებს? მე მგონია დროა, რომ ოცნებას თავი გაანებონ, შეერთდენ, სამეს მიმართონ და რაც შეიძლება ამ მოკლე ხნის განმავლობაში საქმე მოაწესრიგონ, რომ მცხოვრებლებმა თუ რამ შეგივა გამხმარ ტყეებში? მე ჩამოვბრძანდი, მტრები განვდევნე, მხარე მოვეცი განსვენებასა, ღღეიდამ, გესმის, უნდა ემონოთ უსიტყვოდ ყოველს ჩემს ბრძანებასა. მე დაგიპყარით, ჩემი ყმები ხართ, კარგათ გაიგეთ, იყავით ჩუმათ; მითხარი აბა, თქვენ ვინა გდიხართ, რომ გეწყეოდით ორი დღით სტუმრათ, ვინც არ შეისმენს, ძალა შეასმენს, გამოგინახავთ უკეთეს ბინას, იქ გაგგზავნით, სადაც ბუკი სტვენს და თინონ ყვავი სადაც ვერ ფრინავს.

VII

ცა თავს-დამატყდა, მიწა გაირღვა, დამიტრიადდა გულ-ღვიძლში კატა, ძველ შენობიანი სასო დაინგრა,— ეგ რა ეშმაკი შემომეგლატა! მოჰყვა აწ ჩვენსა შევიწროებას დათვების შვილთა მოხერხებითა: პირად ქალაჩუნს, ჩუმად წამებას, სხვა-და-სხვა ხრიკთა მოგონებითა. ჯერ გვთხოვა ხარკი, შემდეგაც ღალა ყოველსა საზრდოს დასდო ბაეები, მცველ-მომცველები მიმალ-მომალა, გაანადგურა ჩემი ნუკრები, ავასო მათით საპყრობილები. წაგვართო მთები, სახნავ-სათესი, ტყეები, სიტყვით მთლად დაგვაკცია, რაც დაგვრჩა ისიც კვლავ უარესი,— სადავდარაბით გადაგვიქცია. სულ გაგვიფუჭა ახალგაზდობა, შებილწ-გათითხნა, დასცა ზნეობით,— ასწაელა მოძმეთ გამცემელობა, ბეზღების ფიცი, ცრუ მფიცველობით, ურცხვ-უპირობა, შეკითამეობა, აშრობა ცხადი, დაუფარველი, სინდისზედა სიცილ-მასხრობა,— ყველა რაც კია სულის გამრყვნელი! შემოდგომის და ზამთრის მაცლელ დროში დაამუშაონ წყლის სათავე და არხი.

კვირას 6 სექტემბერს, სოფელში ხმა გავრცელდა: დღეს წყლის შესახებ ყრილობაა დანიშნულია. ამის გამო, შუადღისას სოფლის სასამართლოს ეზოში ხალხი შეიკრიბა, მაგრამ, რადგან მცხოვრებლების საქმაო რიცხვი არ დაესწრო, (ზოგიერთებს არ გაუგია) მამაჩახლისმა მზის ჩასვლისას გამოაცხადა; „რადგან დღეს სრული ყრილობა არ არის, ამისთვის ხელ **გათენებამდის** გამოცხადდით და მალე გავათავებ საქმესო“. ხალხმა თხოვა თუ შესაძლებელი იქნებოდა გაეთავებინა საქმე, რომ მეორეთ მოსვლით არ დასჯალიყვენ, ან მეორე დღისთვის (8 სექტემბერს) გადადო, მაგრამ უარი მიიღეს. მეორე დღეს, მიუხედავად იმისაა რომ ხალხი უდროოთ გამხმარ პირნახელს ეზიდებოდა შინ, მაინც მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. ბ. მამასახლისმა დილით გათენებამდის გასათავებელ საქმეს, ძლივს შეუდგა ნაშუადღევის ორ საათზე, მანამდის კი მშიერ-მწყურვალი ხალხი ქარ-სიცხეში ეყარა. მან გამოაცხადა: „ხალხი უნდა დავთვალო და ვინც არ გამცხადდა, ის პირები უნდა დავაჯარიმოვო“. თუმცა მამასახლისი თავის სიტყვაზე დაკონებული იყო, მაგრამ ყრილობაში დამსწრე პირებმა ერთხმათ უარი განაცხადეს თავის მეზობლების დაჯარიმებაზე და მამასახლისი იძულებული გახდეს, რომ მათდათანხმებოდა. საზოგადოება გულის ფანცქალით მოელოდა წყლის შესახებ რამე ამბეის გამოცხადებას, მაგრამ ზოგიერთ უბრალო საქმეების გამოცხადების შემდეგ მამასახლისმა უთხრა ხალხს: „საქმეში გათავებულია და შეგიძლიათ დაიშალოთ“. ზოგიერთები შეეკითხა მამასახლის, რისთვის წყლის შესახებ არაფერს აცხადებენ ჩვენი არჩეული პირებიო. მაგრამ მამასახლისმა უპასუხა: „წყლის შესახებ შემდეგ იქნება ყრილობაო. ასე ურცხვათ დაატყვია საზოგადოება ქვიტარის მამასახლისმა ბ. ივანე ყუბანეიშვილმა და სრულებით საქმეებისათვის მო-ცხინა ხალხი ორშაბათის შუშობას. თუმცა კი შეიძლებოდა, რომ ის საქმები მეორე დღისთვის (8 სექტ.) გადადო და ხალხი მთელი დღე მშიერ-მწყურვალი არ დაესაჯა და მუშობას არ მოეცდინა.

ალდე.

ლ ე ქ ს ე ბ ი

შეკრებილი ანდრია მამუკას-ძის კობაიძესან მოაქმი, სხვა-და-სხვა ადგილებში.

არხოტს ჩიოდეს ყორნები თვალით ვერ ვნახეთ მკვდარია-
რუსობამ შემოგვიძირა სახრაკაა მტრისა ძვალია.

ღიმილით უცქერიანო;
საზრდოთ აქეთ ქადა ქვავისა,
ქონ-წყლითა გასძღებიანო;
ამაებს ზედა დასხმენ
უხვად სიცოცხლის წყალსაო.
მაშ რაცა გითხარ, გაგერდეს,
არის სიმართლე სწორია,
სიტყვა და საქმე სწორი მაქვს,
გულიცა შერცხვეს ორია.
იფიცა ღმერთი საბაო,
ერთიმეთ თავის კერპები,
საპირო დროზე გიშველი,
მენდეო, არ გეტყუები.

IV

ამგვარათ დამოყურებული
წამოვიყვანე სახლშია,
გაუწყვე დიდი მეჯლიში,
ღხინი არ გვაკლდა სმაშია.
მოვიხმე ზურნა, ღუდუკი,
თარები, ჭიანურები,
თან მომღერლები უცხონი
ჩიტივით მიჭიკჭიკები.
ბოლი აუდის ყვარელსა,
ღვინოსა წითელ-მაგარსა
როგორც მზის სხივს ქვეშ შავსა ზღვას
მათის ალერსით გამთბარსა.
კარდანახელი ქებულობს,
მაჯაღლის ფერი გულს ატკბობს,
დათუნა სომს და ღუროღულობს,
ვინ მიუხედება, რას ამბობს.
ასე თითქმის ერთ კვირამდის
დროს ვატარებდით, ვლხინობდით,
ხან ვჯირითობდით, ვარბენდით
ცხენებსა, ხან ვნადირობდით.
საღამომიით კრებულნი
ქალ-ვაჟნი შეეკეოდენ
ნარდთ, სხვა-და-სხვა თამაშით
ერთმანეთს ეჯიბრებოდენ.
დაკრავდენ თარსა, დაირას,
ლეკური გაიმართოდა;
ღვინისა შემდეგ ჩვენს სტუმარს
ეს მეტის-მეტად მოსწონდა.
ბოლოს დრას გამომეთხოვა,
მითხრა მრავალი მადლობა,
აღმოიქვა, მალე მოვალო,
რომ დაგიმტკიცო მოყვრობა.

V

აღარ გასულა ბევრი რამე დრო,
მან აღასრულა თქმული პირობა,
მოასხა დათვთა ას ათასობით
გამოწყობილი უცხო მხედრობა.
ვითა ეტიკი მე წინ ეუძღოდი
არჩეულებს ჩემს გმირებთან;
სადაც მას მტრებზე მიუთითებდი,
ის შეუტევდა ფიცხლავ . . . . . .
სულ მცირე ხანში ჩემთა მებრძოლთა
თავზარი-დასცა, მოლეწ-მოლეწა;
მოსრა, დახოცა შეუწყალებლად
ვინც სიჩქარით არ გარდეხვეწა.
შეშინებულთა შეეფერეს ზავი,
თანხმა გაუხდა და აზღვევინა:
ხარჯი, ზარალი, კარგი, თუ ავი,
საუდიეროც დაათვლეინა
დიდძალე ოქრო და რაც დაკლდათ
ნაცვლად მოსთხოვა მიწა, სოფლები,—
ისინი თითონ ამოარჩია,
წაართო მთელი სამთაროები.
ჩვენ გვახარებდა ცინის ამოყრა
დაუვიწყარი იმათზე ძველი,
დაჩაგვრა, დევნა, სახლკრიდამ გაყრა,
იყო მტერი რამ გასახარელი.

VI

დავბრუნდით სახლში, მივეეცი შვებას,
არ გვეშინოდა აღარავისი,
ხელი მოკიდეს გუთანს და თოხსა,
კვლავ აკნეფინეს საქმე თავისი.
დამეშვიდ-დაეწყნარდით, წამოესულდგმულდით,
მოგშვენდით კიდეც, გაესწორდით წელში,
საზრდომ იმატა, უფრო გავმრავლდით,
ჩავვარდით სწორედ სანატრელ ბედში,
აწ კი შეგვეძლო თვითვე ცხოვრება,
მძლავრი მტერები რადგან მოგვცილდენ,
ჩვენ შეჩვეულებს ბრძოლის ერთი ასთან
წვრილები რაღას გაგვიბედვიდენ.
იმისთვის ვსთხოვეთ ჩვენსა შემწესა,
რომ წასულიყო თავის მხარეში,—
თქვენსა ამაგსა, დიდსა იმედსა
არ დაგივიწყებთ ჩვენს სიცოცხლეშია...
ვეეცლებით მარად ჩვენც გემსახუროთ,
მინამ აღვავლენთ ზეცად ლოცვებსა,
ამ ამბებს საქებს, რაცა გიქნია,
გადავცემთ შვილთ და შვილის-შვილებსა.

VII

ეს სიტყვები მას არ მოეწონა,
გაწყარა, განრისხდა, შექნა ღრიალი,
მეტი ხმა აღარ გამაგონინა,
მხეცურად იწყო თვალთა ბრიალი.
დიდი ხნის შემდეგ შემომიბაღალა:
რაო, რას ამბობ, ხომ არ გაცოფდი?
ამრიგი აზრი ვინ დაგასწავლა?
თუ თავი გინდა, ახლავ გამშორდი.
ამდენი შრომა გამიწევია
უთვლელ მტრებთან სასტიკ ბრძოლებში,
დათვების სისხლი დაგითხეია
უხვად უცნობთა უცხოთ ველებში;
და ახლა გინდა შინ გამისტუმრო,
შენ სახლში დარჩე მოსვენებული?
ის არა გიჯობს, სხვა რამ იხუმრო,
თუ მთლათ არა ხარ გაგიგებული.
ნუ თუ გეგონა, სადღაც ტყეებში
ბავშთა გადიდ ჩამოვიდოდი?
თქვენ დაგაგდებდი ამ სამოთხეში
და მე სიჩქარით შინ წავიდოდი!
ხა, ხა, ხა, ხა, ხა! არა, ძმობილო,
მეტად შემეცდარხარ ანგარიშებში!
გინდა მართალი გაგაგებინო,
დარს ანდერძიც დაუტოვებია, ეს ანდერძი სულ 94 სიტყვისაგან შესდგება.

ამ 94 სიტყვით გარრისონმა მთელი თავისი აუარებელი სიმდიდრე ცოლს უანდერძა.

დაბა-სოფელში

ს. ქვიტირი (ქუთ. მაზრა). როგორც სხვა სოფლის მცხოვრებლებმა, აგრეთვე ქვიტირელებმაც წასულ წლებში დიდი შიმშილობა გადაიტანეს, მაგრამ მცხოვრებლებს უფრო მომეტებული შიმშილობა წელს მოლის, რადგან მოსავალი ერთობ ცუდია. მთელს ქვიტირის საზოგადოებაში შეიძლება მოიშველოს ორი ან სამი კომლი, რომელსაც წლის სარჩო მოუვა, უმეტეს ნაწილს კი სამი თვის სარჩოც არ მოუვა. სხვა სოფლებთან შედარებით, ქვიტირის საზოგადოებაში არას დროს არ ყოფილა რიგიანი მოსავალი, ამის მიზეზი ისაა, რომ ქვიტირელებს არ აქვთ სარწყავი წყლები. დიდი ხანია მას შემდეგ რაც მდ. რიონიდან მცხოვრებლებმა განიზრახეს ტოტის გამოყვანა. მაგრამ ზოგიერთი გაიძვერების წყალობით ეს საქე არ მიეცა დასასრულს. წელს ივლისის პირველ რიცხვებში, როგორც იქნა ხალხლა დადგინა წერილობითი განჩინება წყლის არხის საპროგზაზე და საქმის სისრულეში მოსაყვანად ხალხმა აირჩია ოთხი კაცი. ასე მოხთა ფარცხანაყანევში და მაღლაკში, რადგან ისინიც სარწყავი წყლების უქონლობის გამო დასჯილნი არიან. ამ სამი სოფლის არჩეულ პირებს, შეერთებულათ უნდა ემოქმედათ და საქმე ხალხის საკეთილდღეოთ მოეწყოთ, მაგრამ მათ დღემდის ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ერთად შეიკრიბონ, მოილაპარაკონ და ერთ აზრს დაადგენ; თუმცა ისინი ორ თვეზე მეტია რაც საზოგადოებამ აირჩია და დიადი საქმე დაავალა. მათი მოქმედება, კაცს კრილოვის ერთ არაკს მოაგონებს („Лебедь, Ракъ и Щука“), რადგან ერთი მხარე ასახელებს: ტოტი მდინარეის ადგილიდან წამოვიყვანოთო, მეორე—ასათიანის ადგილებზეა დაყინებული და მესამე მხარე კი, წარმოიდგინეთ ფერმიდან უპირეს სოფლების ხარჯით წყლის ტოტის წამოყვანას. (ოცნებაც ასეთი უნდა). იმას არც ერთი მხარე არ უკვირდება საიდან უფრო იაფათ დაუჯდება მცხოვრებლებს წყლის ტოტის გამოყვანა და ან, რომელ სათავიდან წამოყვანილი წყალი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს მცხოვრებლებს. ნუ თუ საზოგადოებამ ასეთი ეინ ლაობა დაავალა მათ არჩეულპირებს? მე მგონია დროა, რომ ოცნებას თავი გაანებონ, შეერთდენ, სამეს მიმართონ და რაც შეიძლება ამ მოკლე ხნის განმავლობაში საქმე მოაწესრიგონ, რომ მცხოვრებლებმა

გაგვალტაკა, გაგვაღარიბა,
როგორც იტყვიან, გაგვაძრო ტყავი,
და რა შეგვიტყო უსაშუალობა,
შემოგვითვალა უმეტეს ავი:
მითხართ, რათ გინდათ სიტყვა ირმული?
მოდით, დათვურად იბურდღულეთო,
თუ ჯიდლობი გსურთ, მიგდეთ ყური,
თქვენ ენა თქვენი მოიძულეთო.

—

გამოვიღვიძე კანკალით, თრთოლით,
გადავისაბე უცებ პირჯვარი,
შემშინებოდა მხოლოდ შეცდომით,
ეს ყველა თურმე იყო სიზმარი...

მამაა გურიელი,

ქუთაისი, 10 სექტ. 1889 წ.

ახიულ*) ახლებ ამბობენ ახლა ველობის ხანია.
ტყეშამოსილი ფათვალნი მაღლით შამოშრნეს მთანია.
დიდია არხოტის ჯვარი ერტყან სისხლიან ხმალია.
არ უნდან კარზედ ნადენნი სირცხვილიანნი ყმანია.
მოვიდა ბნელობის ხანი ქისტებმ მოაწყვეს ჯარია.
თავს ადგას მეუკლოვეთ რისხვით არხოტის ჯვარია,
არ ემქნათ მხალთებისაი, ერთურთს შეადგეს თვალია,
ერთურთისაკენ წავიდნენ, ღმერთო ჰქმენ სამართალია.
მარაის-ძეთა ბადაი მანძილათ დასცეს ხარია,
ვერ მოჰკალ! ნუ გიხარიან ტყვეი თამაში ვალია.
გვერდს უდგას ფუნჩაიშვილი, ბეგისა უკრის ჯარია.
ცეცხლ მოგაყარა ცეცხლზედა ტყვიამ განაყა ძვალია.
ღილღველ მშვიდობით წახვიდე, გგვიცნებენენ ს.ვანია.
—რად ჩაუჯიქ გზაშია?—შათირო შენიც ბრალია!
შემოუარა წინაი არ დაანება გზანია!
თოფ დაჭკა ჩოხოგველსა ფეხით გგვალა მკუდარია.
ღილღვემ,**) ტირილით დაბრუნდეს ბათირის მეგობარი.
მოგვიკლა ფუნჩაიშვილმა ბათირი წინამძღვარია,
ვაჟები იქავ დაბრუნდეს ცამან გააღა კარია.
დილას ნახიან ბათირი არწივის ნაგახარია.
ახლა თავი დაანებეთ, რომ მოისვენონ ხანია.
არ გემალებით მომკლავი არს რუსის სამართალია.
რა მოგვივიდა ვაჟებო? დროება გამოგვეცვალა?..
უცხო დაგვიდგა მსაჯული ერეკლე გადაგვეცვალ!
სულ ჩვენის ქაუთი დავკარქეთ რაც ხელით გამოგვეცალ.

—

არხოტში მგზავრი წავიდა ძაუგზი ჩასასვლელადა.
ზოგმა წაილო შვრიანი სიმინდზედ გასაცვლელადა.
გასცვალეს და გამობრუნდნენ ღამე დაუხდა ბნელათა.
გზაში ჩაუსხდენ ქისტები ცხენების წასართმევათა.
არ ჰყვანდა მანგიასშვილსა ცხენ მტრისთვის მისაცემათა.
მხარსა სძვეს თოფი ხირიმი, გულ-მკერდში მოსარტყმელათა.
ჩაჩაურს გაჯალათასა, გულ-ტყვიის გასაქცელათა.
თავ ქვათთვის მოუფარებავ ტყვიათა ასაცდენათა
მტრისათვის ზუერი უჩვენავს სწორთაგან ჩასაქცელადა.

—

გაითქვა ბატონისშვილი ერაკლი ნათთარალია,
შემოიარა არაგვი ფხიტურს დალახნა მთანია.
შომოვალ მოკითხულობდა ხევსურებს ვინ ჰყავს თავიაᲐ?
სანეს დაიდგა კარავი შემოხვიეენა ყმანია.
იმედას ეუბნებიან გაგვიღე ბელლის კარია.
გამოგვიბძანე დროშანი სამივ აგვიბი ზარია.
დაგვიმწყალობნენ ხევსურნი არ უზარალდენ ყმანია,
ჩავიდენ გორის ბოლოსა ამოდის თოფის ჩქამია.
ლომნის ხელში აქუს მთორახი,—გიასა ლაგმის ტარია.
თეზთ იკრავს წავეგურია, ლიქოთ ჩალხურთა ფარია.
ვედრება გამოდიოდა ღულით შანგია კარია.
გაგვექცა მამის ლახვარი იმან მოგვტეხა მხარია.
მემრე ეგ ცხენიანები ქვეეთი დაგვდგა ძალია.
ცხენო!—წავიდეთ მოკლიავ დაეხიოთ ახლოს წყალია.
შინ მისულებმაც ის უთხრათ დარბასს სხვა ხევსურთ ჯარია.
სათავეს უზის იმედა არ ეეალების ჯარია.

—

ჩაგიკრავ ჩემო ჩონგურო, ჩაგატანე ჯღან-ჯღარი
ხუტუნისშვილო წითლაო ცხენი რათ იცი ჯანჯალი?
დილას დაიწყებ ფრიალსა, როგორც თენგბის ქათამი.
შალეე—მოგიტანს თოფრასა შენი პატრონი მზათ არი.
შემაზავს გაზაფხულზედი, ჯოელ გადაგხურია ყაჯარი.
წამოსულხარ სახევსოროთ შეგისწავლია მთა-გზანი.
დაიწყებ ცეკვაობასა როგორც მაისის ბატკანი.
ჰიმღოს ზის ბაღათერაი კაცი არა ჰყავს ბადალი.
ციხისა გვერდზედ გამართა სამ სართულიან სახლკარი.
ზეიდამ გადაფარა თავს საჩრდილობელ ფართალი
თუნუკა ბიბინს დაიწყებს რახან მოვალის ავდარი.
შიგ თავად გძინავს ძმობილო ლეიბ გაგიშლავ საბანი.
ჰიმღიონთ ურიადნიკი ხარ იონანი გყავს ჩაფარი.
ისე არიგებ სოფლელთა, როგორც თვის მწყემსებს სარქარი.
ფეხებს გაცვია ჩექმები არ გეკადრების ქალბანი.
აივანს დასეირნობდე ფეხთაც ნალიან ჩექმანი.
მალიმალ ჩაი დალიე ბლოვნათა გაქვს შაქარი,
სტუმარ გყავს გამოუწყვეტლივ, როგორც მედუქნეს ეაქარი.
ხანდიხან არაყ დალიე ხანდიხან ტაბილი მაჭარი.
ჩაჯეკენ კალასკაშია ცხენებ გიბია საქსამი.
წელში უტანია ტამპაჩა მხათა გვიდია მაჭარი.
მხრებზედ მასრეებ გინათობს, წელზედ სევნდიან ხანჯალი.
ხრმალი გარტყია კალდიმი ვერცხლიან აქონ ვადანი.
არსად არს შენ მიუვალი თურქესტანი და ჩაჩანი.
ღილღოსა ხევსურებშია ქალი ბეერი გყავს წაწალი.
ქისტის ქალს—მოგიტაცნია მიტომ დაგაქვეს პაეარნი.
სალექსოთ ძღვენი მოგართვი კარქი შავ ხალოს ხანჯალი.

(შემდეგი იქნება)

წერილი ამბები

ევროპაში თეთრი მარგალიტი უფრო მოსწონთ. ჩინელები კი ყვითელ მარგალიტს უფრო აფასებენ.

—

პიანინო გამოგონა რომში ერთმა ინგლისელმა ბერმა 1711 წელს, ე. ი. თითქმის ორასი წლის წინეთ.

—

ბრმინგამში (ინგლისში) ქინძისთავების ყველაზედ უფრო დიდი ქარხანა არის. ამ ქარხანაში ყოველ დღე 37-38 მილიონი ქინძისთავი კეთდება.

—

მეცხრამეტე საუკუნეს დასაწყისში ყველაზედ უფრო გავრცელებული ენა იყო ფრანგული, ეხლა მისი ადგილი ინგლისურ ენას უჭირავს.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. კვირას 20 სექტემბერს გიხსნა სეზონი ქართული წარმოდგენებისა. ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების ხელმძღვანელობით. წარმოადგინეს პოლონეთის მწერლის სენკევიჩის 5 მოქ. ცნობილი ისტორიული დრამა: „ვიდრე ხვალ უფალო?“ („quo vadis“) თარგმანი აკაკი წერეთლისა. წარმოდგენის დაწყებამდი, ფარდის, ახთისას. საზოგადოებამ სცენაზე დინახა მთელი დრამატიული დასი და გამგეობის წევრნი. სამხედრო მუსიკამ დაუკრა „მრავალ-ჟამიერ“, შემდეგ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ბ. ი. ჩიქოვანმა საზოგადოების სახელით წარმოსთქვა სიტყვა. ბ. ჩიქოვანმა ქართველი ერი შეადარა იმ ნავს, რომელიც აღელვებულ ზღვის ზვირთებში არის მოყოლილი და რომლის შველაც ბეწვზე კიდია. ორიოდე სიტყვით მოიხსენია ის სახელმწიფო, სადაც ქართველმა ერმა თავშესაფარი იშოვა, როდესაც ის მტრებთან მამაცური ბრძოლით დაღლილ დაქანცული იყო. ორატორმა არ დაივიწყა საქართველოში პირველათ დადგმული გ. ერისთვის კომედია „გაყრა“-ში ივანეს როლის მოთამაშე, რომლის „სადილიშვილო სამარეს მთაწმინდა გულში იხუტებს“. ქება-დიდება შეასხა ერის სახელოვან შვილს, რომელიც ულვთოთ იქმნა მოკლული. შემდეგ ორატორმა დრამატიულ საზოგადოების მიზნი გამოსთქვა: „აწი უეჭველია, ქუთაისში ქართული წარმოდგენების საქმე კარგათ წავა, რადგან ქართველი არტისტები ისე მშიერ-მწყურვალნი არ იქნებიან, როგორც აქამდის იყვნენო“. დასასრულ უსურვა ქართულ თეატრს წინმსვლელობა და ქართველ ერს იდეური მიზნის შესრულება.

ორატორი საზოგადოებამ ტაშის ცემით დაჯილდოვა.

ფარდა დაეშვა, მაგრამ ისევ მალე ახადეს და ბ. შ. დადიანმა საზოგადოებას აცნობა შემდეგი: „ბალანჩივაძის ავთმყოფობის გამო გლავკის როლს შეასრულებს ბ. ზარდალიშვილი.“ ეს რათქმა უნდა საზოგადოებას მეტად საწყენათ დაეჩრა.

მოთამაშეთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია: ქ. ნ. ჩხეიძემ (ევნიკა) და ნ. დავითაშვილმა (ლიგია). სამაგალითო პეტრონიუსი იყო ბ. ვ. გუნია, რომელსაც ხელოვნება სრულებით არ ეტყობოდა, მისი მოქმედება ნამდვილი ბუნებრივი იყო; ბ. ა. იმედაშვილიც კარგი იყო მარკუს როლში, მაგრამ მესამე მოქმედებაში კი ცოტათი უსუსტა როლის ცოდნამ. ხილონის როლის შემსრულებელმა ბ-ნმა ნემომ საზოგადოება ბევრი აცინა, მაგრამ ვეტვეობ, რომ მთარგმნელს ისე ქონდეს ნათარგმნი, როგორც ბატონმა ნემომ გასძახა ცირკში. მყოფ ხალხს: მთქალაქენო! რომა ნერონმა დაწვაო; კარგი ურსი იყო ბ. ყალბეგაშვილი, მას ამ როლის შესრულებაში ხელს უწყობდა ნამდვილი ვაჟკაცური შეხედულება; ნერონის როლში ერთობ სუსტობდა ბ-ნი შ. დადიანი; ქართულ ყურნალ-გაზეთებს კი ერთხელ გაუბრთხილებიათ ქართველი არტისტები ქართულ ენაში ხმის ამაღლების შესახებ (удар.), მაგრამ ეს ღიმდის ვერ შეუთვისებია ქ-ნ რონელს, რომელიც პოპეიის როლს ასრულებდა. თუმცა სუფლიორის ხმა, სრულებით არ ისმოდა, თვით წინა რიგზედაც, მაგრამ ბ. გუნიამ მაინც რამდენჯერმე გაიბრთხილა შემდეგი სიტყვებით: „ნუ ყვირი კაცო“.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ დესწრო, გაუყიდელი ბილეთები სრულებით არ დარჩენილა. წესიერებაც საკმაოთ იყო დაცული, რაც ბ. ვ. მეხსიშვილი ქუთაისის სცენას მოშორდა მას შემდეგ ქუთათურებს ასეთი წარმოდგენა არ ღირსებია. მოთამაშენი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დაჯილდოსა.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თავის-თავზე დიდი შრომა აქვს მიღებული. მათ ნაშრომს საზოგადოებამაც მიაქცია ყურადღება და იმედია, რომ შემდეგშიაც ხელს მოუწყობს თეატრში სიარულით, რადგან ფასები ერთობ დაკლებულია.

შაბათს 26 სექტემბერს, ამავე არტისტების მიერ, ეს პიესა ხელახლა იქნება განმეორებული დაკლებულ ფასებში.

ანალგაზრდა ქართველი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ერისთავთ-ერისთავის გრიგოლის კრებული (№ 142 XI საუკუნე)

ტყავზედ დაწერილია, ლამაზად. შიგ სიმეონ მესვეტის დღის, მართას ცხოვრებაა, აგრეთვე ცხოვრება გრიგოლ ნოსელისა, ცხოვ. ღვთისმშობლისა, გრიგოლ ღვთის მეტყველის საკითხავები.

203 გვერდზე მშვენიერი მორთულობაა და იქვე ტექსტის გადამწერის ხელით:

წმადო დოთას მშობელო: ადგე: ოროსეკ შინ: სეფეკოთ: კრიგოდ: ერისთავეერისთავი: სულთა და კორეთა: ნეპასი ღუთისასს ზედ: შვადათურთ ამინ:

გადამწერი:

გვ. 203 ოკფალო შეიწყალე სული თეოდორესი წყალობითა შენითა.

გვ. 105 წმ. დედაო მართა მეოხ გუეყავ წინაშე ღუთისა ჩუენ ცოდვილთა, ვითარცა გაქუს კადნიერებაᲐ. თეოდორე თეოდორეს ცოდვილსა და ძმათა ჩვენთა ეზეკიელს და ეფრემს, სულსა შობელთა ჩვენთასა მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა. ლოცვა ყავთ თეოდორე მწარედ ცოდვილისათვის. დიდითა გულსმოდგინებითა ვიდვაწე აღწერად ცხოვრება ნეტარისა მართასი საყოფელსა წმ. სიმონისასა მწიროსასა შინა ქართლისა ეკლესიათა...

გრ. ნოსელის და გრ. ღვთისმეტყველის ცხოვრებანი უთარგმნია ევთიმეს, ხოლო მართასი დავითს, რომელიც, გადმოცემით, სტეფანეწმესთან ერთად მოღვაწეობდა VI-VII საუკუნეში.

გვ. 105: ლოცვა ყავთ წმ. მამისა დავითისათვის, რომელმან ესე ბერძულისაგან ქართულად თარგნა. ღმერთმან შეაწიენ წმიდაᲐ მართაᲐ.

სხვა ხელით: ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან რევისშვილმან ბოვნელ ეპისკოპოზმან იოსებ ვიყიდე წმ. ესე წიგნი **მარგალიტი** და შემოვწერე. წრულეთს მეორედ ჩემგან აღშენებულსა ნათლისმცემელის საყდარს...

მართლწერის ნიმუშები:

სუᲐმეონ, პატᲐვა, ქართოლი, (=ქართველი), უცხუ (უცხო), დიაკენი, შიშათა, იხᲐლეს, ანტუნი, ლოსკუმა (=ლუსკუმა), ური (=ორი), თქვმაᲐ (=თქუმა), მშუადმაᲐ, აქაᲐთვე, საᲐდუმლოᲐ, Აესოკ (იესო), წმიდაᲐსაᲐ, ოქროᲐს მქედელი, უთხი (ოთხი).

ამგვარი ფორმები შეგვხდება ბევრს ძველს, მეათე საუკ. წინად დაწერილს წიგნებშიაც.

მ. ჯ.

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ხერხეულიძე

განცხადებანი



წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღერო საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაკერებს 1/10 დეციმბათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზნის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

ადრესი: Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

*) ახელ. ხევსურის სოფელია.
**) ღლიდვო—ქისტის სოფელია.